

პროგრამის სახელწოდება: ხელით ელექტრო-რკალური შედუღება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა (200 სთ)

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 6 მაქსიმალური - 12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლების მქონე სრულწლოვანი პირი

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს ელექტრორკალური შედუღების ტექნოლოგიის თავისებურებათა დახასიათებას; სამუშაო ნახაზის, ტექნოლოგიური ინსტრუქციისა და ტექნოლოგიური რუკის ნაკითხვას; სამუშაო ადგილის ორგანიზებას, შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების შერჩევასა და მომზადებას; უსაფრთხოების წესების დაცვით შესადუღებელი დეტალების ხელით რკალური შედუღებას სივრცით სხვადასხვა მდებარეობაში (ქვედა, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, ჭერის მდებარეობა); შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლსა და დეფექტების გამოსწორებას; ასევე შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის შედგენას.

სწავლის შედეგები(აღინიშნება ცოდნით და უნარით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ელექტრორკალური შედუღების ტექნოლოგიის თავისებურებათა დახასიათება;
2. სამუშაო ნახაზის, ტექნოლოგიური ინსტრუქციისა და ტექნოლოგიური რუკის გაცნობა;
3. სამუშაო ადგილის ორგანიზება, აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების შერჩევა და მომზადება;
4. შესადუღებელი დეტალებისა და კვანძების მომზადება და მომჭიდებზე აყვანა;
5. შესადუღებელი დეტალების ხელით რკალური შედუღება სივრცით სხვადასხვა მდებარეობაში;
6. შენადული ნაკერის დამუშავება, ხარისხის კონტროლი და დეფექტების გამოსწორება;
7. შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის შედგენა;
8. პროგრამის უსაფრთხოების წესების დაცვა

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 10 კვირას, კვირაში - 20 საათი, სულ 200 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შექმნა (30%), ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება (70%). სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ, შრომის უსაფრთხოების და თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა (A გარემო) და სასწავლო სახელოსნოში (C გარემო). სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ინტერაქტიული ლექცია, პრეზენტაცია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული დავალება, შემთხვევების ანალიზი, გამოკითხვა, მსმენელების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვება).

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.